არ შეგშურდეთ ერთმანეთის, ნუ გაზრდით ფასს ეშმაკობით (სხვების შეცდომაში შეყვანის მიზნით), ნუ შეიძულებთ და ნუ აქცევთ ზურგს ერთმანეთს. ნუ განახორციელებთ ვაჭრობას სხვის მიერ უკვე შეთანხმებულ ვაჭრობაზე. ალლაჰის მონებო, იყავით ძმები,

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ შეგშურდეთ ერთმანეთის, ნუ გაზრდით ფასს ეშმაკობით (სხვების შეცდომაში შეყვანის მიზნით), ნუ შეიძულებთ და ნუ აქცევთ ზურგს ერთმანეთს. ნუ განახორციელებთ ვაჭრობას სხვის მიერ უკვე შეთანხმებულ ვაჭრობაზე. ალლაჰის მონებო, იყავით ძმები, მუსლიმი – მუსლიმის ძმაა, მას უსამართლოდ არ მოექცევა, არ დაამცირებს, არ მოატყუებს და არ შეურაცხყოფს. ღვთისმოშიშება აი აქაა», – და სამჯერ მიუთითა გულზე, «ადამიანისთვის საკმარისია ბოროტებად იგიც, რომ თავისი მუსლიმი ძმა დაამციროს. ყოველი მუსლიმის(ყოველი რამ) მუსლიმისთვის აკრძალულია: მისი სისხლი, ქონება და ღირსება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუსლიმს მუსლიმი ძმის მიმართ სიკეთის გაკეთება მოუწოდა და განმარტა ზოგიერთი მოვალეობა და ეთიკის ნორმა, რომლებიც უნდა დაიცვას მის მიმართ. მათ შორისაა: პირველი დარიგება: ნუ შეგშურდებათ ერთმანეთის, ანუ ნურავის ექნება სურვილი, რომ მისი ძმისგან ალლაჰის წყალობა გაქრეს. მეორე დარიგება: ნუ გაზრდით ფასს ეშმაკობით – არ გაზარდოთ საქონლის ფასი ისე, რომ რეალურად მისი შეძენა არ გსურდეთ, არამედ მხოლოდ გამყიდველის სარგებლობისთვის ან მყიდველისთვის ზიანის მიყენების მიზნით. მესამე დარიგება: ნუ შეიძულებთ ერთმანეთს, რაც გულისხმობს ზიანის მიყენების სურვილს, რაც სიყვარულის საწინააღმდეგოა. თუმცა, თუ სიძულვილი უზენაესი ალლაჰის გულისთვისაა, ეს სავალდებულოა. მეოთხე დარიგება: ზურგს ნუ აქცევთ ერთმანეთს, ანუ ნუ მოიქცევით ისე, რომ ზურგი უჩვენოთ თქვენს მუსლიმ ძმას, გვერდი აუაროთ მას და ურთიერთობა გაწყვიტოთ. მეხუთე დარიგება: ნუ განახორციელებთ ვაჭრობას სხვის მიერ უკვე შეთანხმებულ ვაჭრობაზე, ანუ არ უთხრათ მყიდველს, რომელმაც უკვე იყიდა საქონელი: „ჩემთან იგივე ნივთი უფრო იაფია“, ან „ჩემთან უკეთესია იმავე ფასად“, რითაც გაუქმდება წინამორბედი გარიგება. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საერთო დარიგება მისცა და თქვა: "იყავით ძმებივით“ – მოერიდეთ აღნიშნულ აკრძალულ საქმეებს, გამოიჩინეთ სიყვარული, სირბილე, მზრუნველობა, მეგობრული დამოკიდებულება და ურთიერთთანამშრომლობა კეთილ საქმეში, ასევე გქონდეთ გულწრფელი გულები და ყოველთვის მიეცით ერთმანეთს კეთილი რჩევა. ამ ძმობის აუცილებლობიდანაა: რომ არ დაჩაგროს და არ დაუშავოს თავის მუსლიმ ძმას. რომ არ დატოვოს თავისი მუსლიმი ძმა ჩაგვრაში

და არ უღალატოს მას იმ სიტუაციაში, სადაც შეუძლია დაეხმაროს და გაათავისუფლოს უსამართლობისგან. რომ არ დაამციროს, არ უყუროს მას დამცირებით და ზიზღით, არ ჩათვალოს უმნიშვნელოდ, რადგან ეს გულში ამპარტავნების შედეგია. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სამჯერ აღნიშნა, რომ ღვთისმოშიშობა გულშია. ვისაც გულში ღვთისმოშიშობა აქვს, რაც გულისხმობს კეთილ ზნეობას, ალლაჰის შიშს და მისი მეთვალყურეობის შეგრძნებას, ის არასოდეს დაამცირებს მუსლიმ ძმას. ადამიანისთვის საკმარისი ბოროტებაა, რომ მან თავისი მუსლიმი ძმა შეურაცხყოს, რადგან ეს ამპარტავნობის ნიშანია გულში. შემდეგ(მოციქულმა ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კიდევ უფრო განამტკიცა აღნიშნული სიტყვები და განაცხადა, რომ ყოველი მუსლიმის მუსლიმისთვის აკრძალულია: მისი სისხლი – არ შეიძლება მის მიმართ ძალადობა, მკვლელობა ან რაიმე სახის ფიზიკური ზიანი, როგორიცაა ჭრილობა ან ცემა. მისი ქონება – აკრძალულია მისი ქონების აღება უსამართლოდ და უკანონოდ. მისი ღირსება – არ შეიძლება მისი დამცირება, ლანძღვა ან შეურაცხყოფა, იქნება ეს პიროვნულად თუ მისი წარმომავლობისა და ღირსების მიმართ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/4706